



სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა



KA080123560144218

№ 2009

30 / აგვისტო / 2018 წ.

შპს „კომფორტი XXI“-ის თეთრ სიაში რეგისტრაციის ვადის გაგრძელების შესახებ

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2018 წლის 10 აგვისტოს წარმოდგენილ იქნა შპს „კომფორტი XXI“-ის (ს/ნ: 206123817) 2018 წლის 10 აგვისტოს № 18/08/9 მომართვა (რეგისტრაციის № 6753), რომლითაც მიმწოდებელმა მოითხოვა თეთრ სიაში რეგისტრაციის ვადის გაგრძელება. 2018 წლის 21 აგვისტოს შპს „კომფორტი XXI“-მა წარმოადგინა 2018 წლის 21 აგვისტოს № 18/08/17 დაზუსტებული მომართვა (რეგისტრაციის № 7023), რომლითაც მიმწოდებელმა გამოასწორა მის მომართვაზე სააგენტოს 2018 წლის 17 აგვისტოს №2931 წერილით დადგენილი ხარვეზი.

სააგენტომ განიხილა მიმწოდებლის თავდაპირველი და დაზუსტებული მომართვა თანდართული დოკუმენტაციით და მიიჩნევს, რომ იგი აკმაყოფილებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 26 თებერვლის №2 ბრძანებით დამტკიცებული „თეთრი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-3, მე-4 და მე-7 მუხლით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

დადგენილია, რომ შპს „კომფორტი XXI“-ის (ს/ნ: 206123817) თეთრ სიაში რეგისტრაციის ვადა იწურება 2018 წლის 2 ოქტომბერს. აქედან გამომდინარე, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 26 თებერვლის №2 ბრძანებით დამტკიცებული „თეთრი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-6 და მე-7 მუხლების შესაბამისად:

1. შპს „კომფორტი XXI“-ს (ს/ნ: 206123817) 2018 წლის 3 ოქტომბრიდან გაუგრძელდეს თეთრ სიაში რეგისტრაციის ვადა.
2. ამ განკარგულების აღსრულება დაევალოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტს.
3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამგდასმულია
ელექტრონულად

ლევან რაზმაძე